ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.03.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 012/20

შეკითხვა:

ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს მიმართა შემდეგი ფრაზით „შენ ხარ არაკვალიფიციური, არაფერი იცი“. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც რომ სხდომას ესწრებოდა ადვოკატის კლიენტიც. არის თუ არა ამგვარი მიმართვა კოლეგიალური?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმობს პროფესიული საქმიანობის განხორციელებას კოლეგისადმი პატივისცემის შესაბამისად, კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი ქმედების დაუშვებლობას. კოლეგის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იყოს არაეთიკური. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებების შესაბამისად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები.

ადვოკატის მიერ ზემოაღნიშნული ფრაზით მიმართვა მისი კლიენტის თანდასწრებით შესაძლებელია შეფასდეს, როგორც არაეთიკურ ქმედებად. მით უფრო, რომ ადვოკატი თავისი კოლეგის არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, რაც სცდება კორპორატიული ინტერესების ფარგლებს და არ შეესაბამება ადვოკატის როლს საზოგადოებაში. ადვოკატებმა უნდა შეიკავონ თავი მსგავსი გამონათქვამებისგან და კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში განახორციელონ წარმომადგენლობა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს კლიენტის ინტერესებიდან.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.